# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწ ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მ., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 3(
წელიწადი მეორე
— 1913 —
ხუთშაბათი, 7 თებერვ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, მ. ი. ჭილაძის სახლში, (მიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.



პ ა პ ი რ ო ზ ი „რ ო ს კ ო შ“ ქარ. „კ ო მ ე ტ ა“
25 ც.—ორ შაურათ. 15 ც.—6 კ. ქ. ტფილისი.



## მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 **იმერეთი** წელიწადი მეორე 1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 3 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ივნისთვისაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო სტრიქონი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Василію М. Челидзе.
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.



გაუბედურებული ქვრივი გულჩინა სიმონის ასული ჩიქოვანისა. დედა ქვრივისა, თეო ლევანის ასული მდივნისა, ძმები—ბეგლარ და დავით სიმონის ძენი მდივნები, რძალი ელისაბედ მაქსიმეს ასული მდივნისა აუწყებს ნათესავთა და პატივისმცემელთ, რომ პარასკევს 8 თებერვალს სოფელ ვაკისუბანს წმინდა გიორგის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი—პირველის უსაყვარლესი მეუღლისა და უკანასკნელთა დაუვიწყარი სიძის

### მელიტონ ივანეს ძის ჩიქოვანის

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდები დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე.



ანტონ ჯავოსას ძე ჩოგოვაძე, ანა გერსამიასი, თეკლე ბურჭულაძისა და ნესტორ ზურაბის ძე გერსამია შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობრებს, რომ 6 ამა თებერვალს გარდაიცვალა პირველის უძვირფასესი მეუღლე, მეორე და მესამესი საყვარელი დედა და მეოთხესი სიდედრი.

### ელისაბედ დავითის ასული ჩოგოვაძისა.

პანაშვიდები ყოველ საღამოს 5 საათზე საკუთარ სახლში, გოშპიტლის ქუჩაზე № 12, დაკრძალვა კვირას ათ თებერვალს ნაშუადღევის სამ საათზე ოლასკურის სასაფლაოზე.



## განცხადება.

ქუთათური წიგნების გამომცემელი

### ამხანაგობა

მომავალში გამოსცემს საყმაწვილო და ახალგაზდა მწერალთა კრებულს, რომ სთხოვს ავტორებს გამოუგზავნონ მას ორიგინალური თხზულებები (ორ... მიიღებენ) შემდეგის მისამართით: ქ. ქუთაისი, ორპირის პირველი გადასახვევი, ბახტაძის სახლი, ამხანაგობის მდივანს ბიკტორ ასათიანს.





## იულიუს სარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. და ბათომის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგმლივ ფარნებისა

იგა ი. ნ.

უფრთხილდით მიმსგავსებას

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი ტელეფონი № 18.



## ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

### საბუღალტერო კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა.

იანვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (ტფილისის ქუჩა).



**ექიმი** ვ. ი. ფიშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.



გამოცდილი **მასწავლებლები**

**ამზადებენ** ბავშებს ხელმისაწდომ ფასათ და ბეჯითად. შეუძლიათ მოამზადონ ყველა საშვალო სასწავლებლის დაბალ კლასისთვის, აგრეთვე სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლის ყველა კლასისთვის. გაკვეთილებს უსწორებენ სწავლაში სუსტებს და ჩამორჩენილებს ახალი მეთოდით. საცადი გაკვეთილები უფასოთ.
მისამართი „იმერეთის“ რედაქციაში.



მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

### მ. ბალანჩივაძისა

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.
გენერლის ქუჩა ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.



### ექიმი ი. ჩარექოვი.

იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულის და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.



## პირველი თებერვლიდან გაზ. „იმერეთი“ ამა წლის დამლევამდი ღირს 6 მან. 10 შ.


## დ ღ ი უ რ ი

ბულგარეთისა და რუმინიის შორის დამოკიდებულება კვლავ გამწვავდა. რუმინია სილისტრიასა და ბალჩიკს მოითხოვს.

— რუმინიის მინისტრთა კრებამ 110 მილიონი ფრანკი გადადვა სამხედრო საჭიროებისათვის.

— საფრანგეთმა ბულგარეთს შეუთვალა—ადრიანოპოლში მყოფ უცხო ტომთა ხალხს ან მფარველობა გაუწიე და ან ნება მიეცი—ადრიანოპოლიდან გასვლისა. ბულგარეთმა ორივე წინადადება უარყო.

— ცეტინიედან პეტერბურგს რუსი აფიცერი მივიდა. მისთვის სკუტარის საკითხის შესახებ შავმთიელეთის მეფეს წერილი გაუტნევა.

— ბულგარეთის ჯარს მაკედონელი თავისუფალი დიდძალი ჯარის კაცი უერთდება:

— ოსმალეთის სამხედრო მინისტრმა ჯარის უფროსებს აცნობა,—ვინც არ დაგმორჩილდებათ, ყველა დახვრიტეთო.

— მინისტრთა კრებამ თანახმათ მანუხინის მოხსენებისა როტმისტრი ტრეშჩენკოვი სამართალში მისცა.

კიევში აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში წიგნის და გაზეთის გამომცემელთა კრება მოხდება. კრებას რუსეთის ყველა ქალაქის წარმომადგენელი დაესწრება.

— აკერმანში (რუსეთში) კურნალისტს თავს დაესხნენ და სცემეს.


ПАПИРОСЫ
ГОЛУБКА 10 шт. 3 коп
ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ПАПИРОСЫ
ЭКСТРА
15 шт. 6 коп.
ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ФАБРИКИ
А. ЭНФІАДЖІАНЦА
ПАПИРОСЫ
„ИНТЕЛЛИГЕНТНЫЯ“
ЦѢНА
25 шт. 15 к.
10 ш. 6 к. 100 ш. 60 к.


## რეპინის სურათის დასახიჩრება.

ამას წინათ ვიღაც ბალოშოვმა დანა დაკრა რეპინის შესანიშნავ სურათს, „იოანე მრისხანეს“, რომელიც წარმოადგენს ტრედიაკოვის გალერეის (მოსკოვშია) იბოლ თვალს, შემოქმედობის საკვირველ ნიმუშს.

როდესაც რეპინი ამ სურათს სთხზავდა, რამდენიმე დღის განმავლობაში შეაჩერა მუშაობა და, როცა ხატვა განაახლა, ავტორსვე შეეშინდა თავისი ნაწარმოების.

სურათი საშინელ ჩაბეჭდილებას ახდენს. იოანე მრისხანე, რომელსაც თავისი შვილი დაუჭრია ყელში, სასოწარკვეთილებით ცდილობს შეაჩეროს ყელიდან მჩქეფარე სისხლი მოკრუნჩხული თითებით.

ამ სურათმა უდიდესი ჩაბეჭდილება მოახდინა მოსკოვსა და პეტერბურგში ალექსანდრე მესამის დროს, მაგრამ რეაქციონერების მეცადინეობით და პობედონოსცევის დახმარებით მისი გამოფენა აკრძალულ იქნა. შემდეგაც, როდესაც ტრედიაკოვმა შეიძინა და უძღვნა მოსკოვს. ეს შესანიშნავი ნაწარმოები სულიერ წონასწორობას უკარგავდა რეაქციონერებს.

ბალაშოვი, მართალია, სულით ავათმყოფათ აღიარეს, მაგრამ ზოგიერთს ეჭვი ებადება, სხვათა შორის თვით რეპინსაც, ვაი თუ ბოროტმოქმედი წაქეზებულიც იყოსო.

რეპინის სურათის დასახიჩრებამ შესძრა რუსეთის მთელი საზოგადოება და ძლიერ

შეაწუხა თვით ავტორი. თუმცა ფიქრობენ, რომ შესაძლებელია აღდგენილ იქნეს სისრულით.

ამისთვის საჭიროა ახალი ტილო დააკრან ზურგიდან და მერე ისე გააუთოონ, რომ ძველ ტილოს სრულიად შეეხორცოს, შეუერთდეს. ეს რესტავრატორის საქმეა შემდეგ კი თვით მხატვრმა უნდა შეავსოს. განახლოს წამხდარი ადგილები.

რესტავრატორი უკვე შეუდგა საქმეს და რეპინმაც აღთქვა, რომ კვლავ აღადგენს თავისი სურათის პირვანდელ სახეს.

განვიმეორებ: რუსეთის გაზეთებში და საზოგადოებაში დიდი მოთქმა და გოდებაა ამ უბედურების გამო.

და, ვფიქრობ, ის საზოგადოება, რომელიც ასე აფასებს ხელოვნებას, განათლების ამ ნაზსა და სათუთს ნაყოფს, უკვე მომწიფებულია თავისუფალი სამოქალაქო ცხოვრებისათვის.

ხელოვნება განსახიერება არის იდეისა. რეპინის ხელოვნური ნაწარმოები პროტესტია სისხლის დანთხევის წინააღმდეგ. ის მოუწოდებს კაცს, უარყოს მხეცობა, ველურობა, და დაისახოს მიზნათ კაცთმოყვარეობა. ის აკეთილშობილებს კაცის სულს. და ეს ჰუმანური მოწოდება წარმოუდგენელი ძლიერებითა და სისრულით არის განსახიერებული ხსენებულ სურათში.

და საზოგადოებაც იმიტომ სწუხს და შფოთავს, რომ სურათის დასახიჩრება მიაჩნია თავისი იდეალის შელახვათ, ჯერ კიდევ ველური ინსტიქტის ბინადრობათ ადამიანის სულის სიღრმეში.

მაგრამ საზოგადოება გულს არ იტეხს, სწამს, რომ სიკეთე სძლევს ბოროტებას და რეპინის სურათი კვლავ აღსდგება მთელი თავისი ხელოვნური ძლიერებით.

**ურთ.**

# ახალი ამბავი.

დღეს ელექტრო-თეატრ „რადიუმში“ სეანსი გაიმართება არქიელის გორაზე გახსნილი სამკითხველოს სასარგებლოთ.

ეს სამკითხველო ქალაქის შუაგულიდან მოშორებულ ადგილასაა დაარსებული, და მჭიდროთ დასახლებულ ამ უბანს საგულისხმო სამსახურს გაუწევდა, რომ სამკითხველოს საქმე უფრო რიგიანათ იყოს მოწყობილი. ამის უმთავრესი მიზეზი კი უსახსრობაა, და სწორეთ ამ სალსარის მოსაპოვებლადაც იმართება ეს სურათები „რადიუმში“. ქუთაისის საზოგადოება, იმედია, არ დაიზარებს თავისი წვლილი გაიღოს ამ კარგი საქმისათვის.

✦ ქუთაისის ქალაქის შკოლების კომისიამ, ექსპერტების თანადასწრებით ქალ. მეოთხე შკოლის მასწავლებელის ადგილზე, ბაქოს გადაყვანილ მეთ. კაკაბაძის ნაცვლად, ერთხმათ მოიწვია მასწავლებელი გ. ახვლედიანი. როგორც ვიცით, ამ ადგილის მსურველთათვის სანიმუშო გაკვეთილები იყო დანიშნული და ექსპერტებმა დაამოწმეს, რომ ახვლედიანის სანიმუშო გაკვეთილი უფრო მოსაწონი გამოდგა დანარჩენებისაზე.

✦ სამშაბათს გამართულმა ლიტერატურულ-მუსიკალურმა საღამომ დააკმაყოფილა კარგა ბლომათ შეგროვილი საზოგადოება. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ მონაწილეთაგან ბევრი გამოაკლდა და ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილება გამოიწვია საღამოს გამმართველები უნდა მოერიდონ რეკლამებს. ხოლო ესეც კია, ნოტარიუსის ხელწერილს ვერ ჩამოართმევ, გვპირდება და სწორეთ საღამოზე არ გამოცხადდება—ასეთი თავის გამართლებაც გავიგონეთ ამ საღამოს თაოსნებისაგან.

✦ ზეგ, 9 თებერვალს მსახიობის ნ. გვარაძის ბენეფისია. ნ. გვარაძეს ახალგაზდა მსახიობი აღარ ეთქმის. იგი მეათე წელიწადია, რაც ჩვენს სცენას ემსახურება და იმ თავითვე მუყაითი და კარგი მსახიობის სახელი დაიმსახურა საზოგადოებაში. გვარაძე ალ. მესხიშვილის გაზდილი მოწაფეა. ამ მსახიობის ნიჭი ცალმხრივი არ არის; მას ემარჯვება დრამატიული და კომიკური როლებიც. გვარაძის ღირსება კიდე ისაა, რომ ბეჯითი მუშაა, დაკისრებულ როლის ყოველთვის პირნათლად უძღვება სწავლობს და ენას არ „ახიქართულებს“. ასეთი საჭირო მუშაკის შრომა საზოგადოებამ უნდა დააფასოს.

✦ ქიათურიდან ამ ჟამათ შავიქვის დიდი გაზიდვაა.

✦ 30 იანვარს თფილისის სამოსამართლო პალატამ სილოვან ხუჭუას საქმე დაარღვია, რომელსაც ქუთაისის ოლქის სასამართლოსაგან ხუთი წლის კატორგა ქონდა გადაწყვეტილი, თავდასხმისთვის; პალატამ $3^1/_2$ წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა.

✦ 4 თებერვალს საგუბერნიო სატუსაღოს პირველ განყოფილებაში უეცრათ გადაიცვალა რვა თვე ციხე მისჯილი ტუსაღი ექვთიმე ეჯიბია.

✦ 1 თებერვალს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია ბესარიონ ქორქოლიანის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა სამსახურის დროს ქუთაისის საპრყობილეში ჩაკეტილ საკანში მცირე წლოვან გამოძიების ქვეშ მყოფ პატიმარის ხრისტო ბუნერიძის სიკვდილი, რისთვისაც სასამართლომ დამნაშავეთ იცნო ის და მიუსაჯა რამდენიმე უფლებათა აყრა და 3 წლით ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი.

✦ ქუთაისში შეიპყრეს და ადგილობრივ ციხეში მოათავსეს შორეულ ციმბირში ადმინისტრატიულათ გადასახლებული პავლე გოგოლაშვილი.

✦ 3 თებერვალს მეტეხის ციხიდან ქუთაისში ჩამოიყვანეს მიხეილი პაპისოვი.

✦ ახლო მომავალში უნდა ეკურთხოს ქუთაისის ციხის ეკლესია. წირვას შეასრულებს ეპისკ. გიორგი; იგალობებს პატიმართა მგალობელი გუნდი ალ. მაისურაძის ლოტბარობით. გუნდში ოცდაორი კაცია მათ შორის სამი ქალი.

✦ 4 თებერვალს კავკასიის დროებით სამხედრო სასამართლომ ბრალდების ოქმი ჩააბარა ედიშერ (იგივე ტარასი) მაქვარიანს, რომელსაც ბრალდება დაბა ცხინვალიდან (გორის მაზრ.) ორი მოწაფის გატაცება. ვასილ კულიჯანოვისა და ალექსანდრე მელიქოვისა. 18 ივნისს 1911 წელს ტყვეთ ყოლიათ ორი თვეს, და რაკი სასყიდელი ვერ აუღიათ, ტყვეობიდან გაუთავისუფლებიათ.

✦ 1 თებერვალს თფილისის სამოსამართლო პალატამ ბრალდების ოქმი ჩააბარა ნესტორ ქიქიძეს, იოსებ მაქაცარიას, პავლე პოტკოვსკის და კონსტანტინე ტრესკოვსკის, რომელთაც ბრალდებათ ოზურგეთის საფოსტო კანტორიდან 75,000 მანეთის გამოტანა ყალბი დოკუმენტებით.

✦ ქუთაისის საგუბ. სატუსაღოს უფროსის დათხოვნილი თანაშემწის ადგილზე დაინიშნა თედორე დზიმსუკი.

✦ როგორც გავიგეთ, სატუსაღოს ხორცის მოიჯარადრე ცუდი ხარისხის ხორცს აწვდის სატუსაღოს, რის გამო ხორცს როგორც ტუსაღები ისე ციხის ადმინისტრაციაც იწუნებს და ისე უკან უგზავნისო.

# წერილები ბაქოდან.

(საკუთარი კორესპონდენტი)

I.

ბაქო იძლევა იმ შეხედულების საუკეთესო საბუთს, რომ საზოგადოებაში რიგიანობისა და კეთილმდგომარეობის დასამყარებლათ მარტოოდენ ქონებრივი სიმდიდრე არა კმარა და ამ მხრით მასზე მეტი მნიშვნელობა ქონებრივ სიმდიდრესა და კულტურულ სიძლიერეს აქვს. ბაქო ხომ ნავთის ქვეყანაა და აქ ამის გამო დიდძალი სიმდიდრე — მილიონები ტრიალობს. ამ სიმდიდრეს ყოველ ფეხის გადადგმაზე გრძნობთ და თვალში გეჩხირებათ. ხოლო იმავე დროს გრძნობთ და ხედავთ ქალაქს სრულიად მოუწყობელს და, ასე ვთქვათ, უპატრონოს, სადაც არ არის წყალსადენი, ტრამვაი, განათება, კანალიზაცია და სხვ. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ადგილობრივ მკვიდრ თათრებსა და სომხებს შორის ნაციონალური მტრობა და შუღლია. ბაქოს პირისუფალთ ავიწყდებათ ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ქალაქის გასუფთავება, გაშვენიერება და რიგიანათ მოწყობა ყველა ადგილობრივ მკვიდრთათვის სასურველი და სანუკვარია და ამ ნიადაგზე მხნე სოლიდარული მუშაობა ყველასათვის ერთნაირათ სასარგებლოა. ამ მტრული ურთიერთობითა და უთანხმოებით აიხსნება ის არანორმალური მოვლენაც, რომ ქალაქის მოურავათ ყოველთვის შორეული ქვეყნიდან უცხოსა და ხშირათ ადგილობრივი პირობების უცნობ კაცებს ეპატიჟებიან და თავიანთ წრეში ღირსეული ადამიანის გამონახვის სურვილი აზრათაც არავის მოდის, ან უკეთ რომ ვთქვათ, ვერავინ ბედავს. ამის გამო ამ ბოლო დროს ბაქო ერთხანს უთავოთაც იყო და, ბოლოს, როგორც იქნა, მთავრობის ძალდატანებით მოახერხეს ახალი მოურავის არჩევა. ეს გახლავთ ბ-ნი ბ-ჩი. ქალაქის მოურავობა ჩვენს თანამემამულეთაც თ-დ ი. დადიანსა და ბ-ნ გ. ზდანოვიჩსაც შესთავაზეს, მაგრამ, როგორც ამბობენ, ორივეს კატეგორიული უარი განუცხადებიათ. ასე თუ ისე ბაქოს „უთავობის“ კრიზისი დასრულდა. ხოლო მისი წარმატების საქმეს ბევრი ურწმუნო თომა ახლავე სკეპტიკურათ უყურებს...

ბაქოში ქართველების რიცხვი დღითი დღე იზრდება და, შეიძლება, ერთ დროს საგრძნობელ ძალათაც გადაიქცეს. თუ სავსებით მივიღებთ ზოგიერთ სწავლულთა აზრს, რომ ამა თუ იმ ერის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს ერთადერთი შეგნება, თვითშემეცნება განსაზღვრული ჯგუფის მიერ თვისი პიროვნებისა და სურვილი დაიცვას ეს პიროვნება, მაშინ აქაური ქართველობას ყველაზე უფრო შეუძლია თავისი ქართველობა თამამათ აღიაროს და თავისი თავი ამ მცნების ერთგულ მცველათ დასახოს, რადგან აქ ჩვენები დიახაც აფასებენ თავის ვინაობასა და მისი შენარჩუნების მტკიცე სურვილს იჩენენ. ბაქოში არის ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგ. განყ., რომლის თაოსნობითაც აქ დაარსებულა ქართული შკოლა, დრამატიული წრე, რომელიც სისტემატიურ წარმოდგენებს მართავს და საკვირაო შკოლა. არსებობს აგრეთვე ქალთა წრეც და, ასე გაშინჯეთ, ქართული გაზეთიც.

ეროვნული მცნების ზემოყვანილი განმარტება, ჩვენის ფიქრით, ცალმხრივი და შეუწყნარებელია. ეროვნული თვითარსებობის დასაცავათ შეგნებასთან, თვითშემეცნებასთან და სურვილთან ერთად სხვა გარეშე ფაქტორებსაც აქვს მნიშვნელობა, როგორც, მაგალითად, ენას. ტყვილათ კი არ ამბობს პოეტი: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდასო“. ამ მხრით კი ძალიან სცოდებს ბაქოელი ქართველობა, განსაკუთრებით მისი შეძლებული ნაწილი და აგრეწოდებული ინტელიგენცია, რომელთა შორის მშობლიურ ენაზე ლაპარაკს ძნელათ თუ გაიგონებთ.

ბაქოს ქართული შკოლა არის ის ლამპარი, რომელსაც აქაური ქართველობა ფარვანასავით თავსევლება. იგი ქალაქის ერთ საუკეთესო თვალსაჩინო ადგილზე სდგას და დიდი მისიაც აქვს დაკისრებული. აქაურ ქართველ ბავშებს ხშირათ დედა ენაზე უფრო უცხო ენაზე ლაპარაკი ეხერხებათ და აი სწორეთ ამ შკოლის მიზანია ჩვენს ბავშებს ელემენტარული პირველდაწყებითი ცოდნა მიაწოდოს, ჭკუა-გონება გაუნათლოს და განუვითაროს და თან მშობლიური ენა შეაყვაროს, წმინდა და მაღალი კეთილშობილური მამულის სიყვარული ჩაუნერგოს. შკოლა ახალი დაარსებულია და ამის გამო ჯერ სავსებით მოწყობილი არ არის, მაგრამ ეჭვი არ არის ადგილობრივი ქართველობა ხარჯს არ დაზოგავს და მას თანდათან შესაფერ სიმაღლეზე დააყენებს, რადგან ცნობილია, რომ ამ შემთხვევაში გაწეული ხარჯი შემდეგში ქვეყნის სასარგებლოთ ერთი ასათ ანაზღაურდება ხოლმე. შკოლის შესანახ უმთავრეს წყაროთ ტრადიციული ქართული საღამო ითვლება. ეს საღამო წელს 2 თებერვალს გაიმართება, სადაც ბ-ნი ქ. ფოცხვერაშვი... სდგამს „პირის მზეს“, „ბაყბაყ მდევ...“ და „კერპუა ლომსურევას“.

გ... 1912 წელში ... წრეებმა შესამჩნევათ ... თითქმის ყოველ დაბაში შეეცადნენ ... წრეების დაარსებას. თვალსაჩინო ... ბა და შრომის უნარი გამოიჩინეს ... კუთრებით ქუთაისისა და ხონის ... წრეებმა. ამ წრეებში სჯა-ბაასი ... ლათ წარმოებს და აქ ეცნობიან ... ლო ლიტერატურასა, ისტორიას, ... თა საკითხს და სხვა. ბაქოს ქართველ... ლებს ასეთ ჯგუფის საჭიროება ... სხვებზე უწინ შეუგნიათ და ამ სამი ... წინათ კიდეც დაუარსებიათ. მაგრამ, ... გორც ამბობენ, ახლა წინანდელი ... ტაცებით და ხალისით არ ეკიდებიან ... მეს. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენში ... თი წრეები თანდათან იზრდება. ... სის ქალთა წრის მეთაურთ განზრ... აქვთ რამდენათაც შესაძლებელი ... ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის ასეთ ... ბის ბადეებით მოფენას, რომლის ... შესაძლებლათ მიაჩნიათ ჩვენებურ ... საერთო კრების, სიეზდის მოხთენ... სიეზდს მრავალმხრივი ექნება ჩვენ... მნიშვნელობა. აქ საქართველოს ... კუთხიდან შეკრებილნი ქალთა წრე... წარმომადგენელნი ქალები ერთმან... გაეცნობიან, თავიანთ აზრსა და შე... ლებას გაუზიარებენ, გაიგებენ ... ლის მრწამსა და მისწრაფებას, ... ერთზე ნაყოფიერ ზეგავლენას მოახდ... და ამნაირათ დაახლოვდებ ყველა... სანატრელ ქართველ დედის თანამედ... ვე სახითა და ელფერით წარმოშობ... დროს.

ბაქოში, როგორც უწყით, შედგა ... ში ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ... ფი, რომელმაც განიზრახა ჩვენებურ ... თავრესათ მხატვრულ ნაწარმოებთა ... მნის საშვალებით საქართველო ... და საზოგადოთ მთელ კულტურულ ... ცობრიობას გააცნოს. ამ საქმის ... მძღვანელობა და თარგმანების რედაქ... რობა იკისრა რუსის ცნობილმა მწერ... მა მაქსიმე გორკიმ. მიზანი მეტათ ... რიოზული და დიდმნიშვნელოვანია. ... მუდამ იმაზე ვწუწუნობთ, რომ ჩვენ ... რავინ გვიცნობს, მეზობელ ერს კი ყოვ... გან იცნობენ და ხშირათ ჩვენს ავსა ... კარგს იმათ აწერენ. ეს საკვირველი ... დია: ისინი საშვალებებს არ ზოგავ... შრომას და ჯაფას არ ერიდებიან და ... ველ შემთხვევით მოხერხებულად ... ლობენ განათლებულ ქვეყანას თავი ... აცნონ. მარტო ვაი და ვიში ჩვენც ... გვიშველის. საჭიროა მეტი მხნეობა, ... მის გაკეთება, ხელისა და გონების ... რევა. ამ ჟამათ მშვენიერი შემთხვ... გვეძლევა და მომაკვდინებელი ცოდ... იქნება, მით შესაფერათ რომ ვერ ვის... გებლოთ. საქმე, რამდენათაც ვიცი... ჯერ-ჯერობით კარგათ მიდის. ჯგუ... მოდის წერილები და თარგმანები ... ლიტერატორებიდან და სხვადასხვა მთა... მნელებიდან. ვუსურვებთ საქმის სასურ... ლათ დაგვირგვინებას.

**ფარი.**

# შინაური მტრები.

32.

### კიდევ „მტრების“ გამო.

ბ. არჩილ ჯორჯაძისადმი მიმართულ ჩემს პასუხში („იმერ.“, № 18) უკვე აღნიშნულია ჩემი „შინაური მტრების“ შესახებ ბ. ჯორჯაძის შეხედულების უსაფუძვლობა; მაგრამ დღესაც მინდა ამ საკითხს დავუბრუნდე და მკითხველისათვის კიდევ უფრო ნათელვყო ჩემი სიმართლე. ვინაც ცარიელი სიტყვებითა და ანბანებით კი არ კმაყოფილდება, არამედ შინაარსს აქცევს ყურადღებას,—იგი ვერაოდეს ჩემს წერილებში „რეაქციონურ“ აზრს ვერ ამოიკითხავს, და ამიტომაც ჩემი „შინაური მტრების“ გამო არათუ საყვედური მსმენია ვისგანმე (რასაკვირველია, იმათ გარდა, ვისაც ეს წერილები ეხებოდა), არამედ ბევრისაგან,—სტუდენტებისა თუ უკვე ცხოვრებაში გამოსულის, საზოგადოებაში პატივცემულ პირებათ ცნობილი მკითხველებისაგან,—მოწონების ბარათებიც მიმიღია, რომ ჩვენი ქვეყნის მავნებელი სხვადასხვა სენის წინააღმდეგ ვიბრძოდი. ვფიქრობ, არც ერთს ჭკვათამყოფელ მკითხველს, გარდა ბ. არჩ. ჯორჯაძისა, ფიქრათაც არ მოსვლია, რომ ამგვარი ბრძოლა დასაწუნებელი იყოს, და რადგან ბ. ჯორჯაძე ჭკვათამყოფელ ადამიანათ მიგვაჩნია, ამიტომ ვამბობთ, რომ იგი ამ შემთხვევაში მხოლოდ შემცთარია. ბ ჯორჯაძე შეცთომაში იმან შეიყვანა, რომ ტერმინების გარეგნობა მიიღო მხედველობაში, მათ შინაარსს კი ყურადღება არ მიაქცია. როცა მე „შინაურ მტრებში“ ვათავსებ, მაგალითად, იმისთანა ქართველ კაცს, რომელიც, უმეტეს ნაწილათ შეუგნებლობისა და დაუკვირვებლობისა გამო, თითქმის ყოველთვის უცხო ენაზე ლაპარაკობს და ამ ჩვენთვის ფრიად მავნებელ ჩვეულებას თავისი საქციელით ხელს უწყობს,—რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ქართველი ყოველნაირათ ჩვენი ქვეყნის მტერი და ორგულია;—არა, ეს მარტო იმას ნიშნავს, რომ ამისთანა ვაჟბატონები მხოლოდ ამ ფარგალში, სამშობლო ენის უფლებისა და ინტერესების გათვალისწინებაში, დედა-ენას მტრობას უწევენ, თუმცა, შესაძლებელია, იგივე პირები სხვა საქმეში ქვეყნისათვის ფრიად სასარგებლოც იყონ.

ამგვარივე გაუგებრობით წარმოდგა ალბათ ბ. ჯორჯაძის მოსაზრება ჩემი დევიზის—„კბილი კბილისა წილ“-ის შესახებაც. როგორც ჩემს პასუხში მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს (№ 18), მე ამ დევიზს სწორეთ „ბრძოლის“ მნიშვნელობას ვაძლევ—უფლებისა და „სამართლიანობის“ დასაცავათ, და თუ რამდენათ საფუძვლიანი და პროგრესიულია ჩემი შეხედულება ამ უფლებასა და სამართლიანობაზე, ეს, რასაკვირველია, სულ სხვა საკითხია—და ამაზე ყველას შეუძლია მედაოს და, თუ რამე საბუთი აქვს, დამიმტკიცოს, რომ ჩემი „აზროვნება“ „რეაქციონურია“. ცარიელი ანბანებისა და სიტყვების მღეჭაობა კი ადამიანის აზროვნებისა და ღირსების დასამცირებლათ, რასაკვირველია, უაზრობაა—და ამით ვერც ვერავის დაამცირებენ.

რაც შეეხება „კილოსა“ და „ეპითეტებს“, ამ მხრით სილოვანი, როგორც წინა წერილშიც დავანახეთ, ბევრათ უფრო ნაკლებათ სცოდავს, ვიდრე ისინი, რომელნიც „სამართლიანობითა“ და „თავაზიანობით“ „თავს იწონებენ“. ნათქვამია: „მგელს მგლობის სახელი გაუვარდა—და ტურამ ქვეყანა დააქციაო“.

ისიც კი უნდა ვსთქვა, რომ, ჩემი რწმენით, კამათის „კილო“ მოკამათის, მოპირდაპირის კილოზეა დამოკიდებული, ისე როგორც ომის დროს—იარაღისა: ზარბაზნების წინააღმდეგ თუ მტერს ზარბაზნები არ დაახვედრე და ცარიელი სიტყვით ებრძოლე,—ან სულ ამოგჟლეტს და ან შენს ადამიანურ უფლებას ურცხვათ გადალახავს და გაანადგურებს. ასეთია დღევანდელი მოკამათეც: შენს უტყუარ უფლებასა და ღირსებას უტიფრათ ლახავს, და სანამ ხმას არ აიმაღლებ და მისი იერიშის წინააღმდეგ იერიშით არ უპასუხებ,—მანამდი არაფრათ გაგდებს, ცოცხალ არსებათაც კი არა გთვლის. ჩლუნგი სმენისა და ჩლუნგი გრძნობაგონების ადამიანისათვის, სამწუხაროთ, „ხმის ამაღლება“ გვჭირდება. „სამწუხაროთ“-მეთქი, ვამბობ, რადგან სულაც არ მინდა დავამტკიცო და არც როდისმე მიფიქრია დამემტკიცებია, რომ ეს კარგია-მეთქი, მაგრამ იმას კი ვამტკიცებ, რომ დღესდღეობით ამგვარი „ბრძოლა“ აუცილებელია...

ჩემს „კბილი კბილისა წილ“-ს მარადის უფლების დაცვა ქონდა საგნათ, მარადის ჭეშმარიტების დასაცავათ იყო იგი მიმართული—და, მაშასადამე, აქ შურისძიებას ადგილი არ ქონია.

მე ვიცავდი, მაგალ., ქართული ენის აწინდელის გამარტივებული ფორმების, უფლებას და როცა ამისთვის მკიცხავდნენ და ენის „მწვალებელსა“ და „დამმახინჯებელს“ მიწოდებდნენ, მე ვამტკიცებდი, რომ, პირიქით, ჩემი მოწინააღმდეგენი არიან ქართული ენის დამმახინჯებელნი და უცოდინარნი. ჩემს „შინაურ მტრებშიც“ ყოველთვის იმისთანა საგანს ვეხები, რომელსაც საზოგადოებრივი ინტერესი აქვს, და ვიცავ ჩვენი ქვეყნის ინტერესს ისე, როგორც მე მესმის (და მე კი ისე მესმის, როგორც ჩვენს საერთო საცხოვრებო პროგრამაში არის განმარტებული), და თუ კი მე საზოგადოებრივ უფლებას ვიცავ, თუნდ მკვახე კილოთაც ვიცავდე, ნუთუ შესაძლებელია—ამგვარ ბრძოლას „შურისძიება“ ეწოდოს?!.

ბ. არჩილ ჯორჯაძემ, ცხადია, ... გნო თავისი. შეცთომა—და ალბათ ... ტომაც საჭიროთ აღარ სთვლის ჩემს „... სუხს“ შემდეგ იკამათოს იმაზე, რის ... საბუთებაც მას არ შეუძლია. ძვე... გან ნათქვამია: „Errare humanum ... sed nullius, nisi insipientis, in erro... perseverare“, რაიცა ნიშნავს: შეცთომა ადამიანთა ხვედრიაო, ხოლო შეცთომაში გაჯიუტება გონიერ ადამიანს არ შვე... სო...

მაშ ჩვენ კვლავ განვაგრძობთ ჩვენ... „შინაურ მტრებში“ ჩვენი საზოგა... ზისა და საზოგადო მოღვაწეთა ... აღნიშვნას, სრულიად დარწმუნებულ... რომ ჩვენი წერილებით კულტურას ... არ „ვბღალავთ“, პირიქით—თაყვან... ვსცემთ, ვემსახურებით, რამდენათაც ... ჩვენი სუსტი ღონე ამისნებას გვაძლე...

—„—

„ჩემი აწ ცხანით ყოველმან:
მას ვაქებ, ვინცა მიქია“...

ქებისა რა მოგახსენოთ—და დაგმობ... კვლავ უნდა დავგმო ისინი, რომელნ... არა ერთხელ დამიგმია. და განა ... საგმობი არ არიან ის პირნი, რომელნი „ხალხის“ მსვეურობას ჩემულობენ ... გისრულობენ, და ნამდვილათ კი ... „ხალხის“ მთავარ საგანს ფეხ-ქვეშ სთე... ვენ?! განა დასაგმობი არ არიან ... „ინტელიგენტები“, ბეჩავი ქართველ...

**თვიურ ხელის მომწერთა საყურადღებოთ**

**გაზ. „იმერეთის"** კანტორა აცხადებს, რომ ვისაც გაზეთის დასაკვეთი ფული არ შემოუტანია, დღეიდან გაზეთის გზავნა ესპობა.

# დეპეშა.

...ეტერბურგის დეპ. სააგენტოსაგან.

## ომი ბალკანეთზე.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპეშათა ...აგენტოს გაუგია ავტორიტეტული წყაროებიდან, რომ ბულგარეთ-რუმინიას ...ლაპარაკების პოლიტიკური ვითარება ...ებას არ აძლევს პრესის საქმეს პე...ტურათ უყუროს.

მოლაპარაკება სოფიისა და ბუქარესტის კაბინეტებს შორის არ შეწყვეტილა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ორივე მთავრობა ვერ შეთანხმდენ. მათ ...სრული საშვალება საქმის მოწეს... მიანდონ დიდ სახელმწიფოებს. რუმინია და ბულგარეთი პასუხს აგებენ ...ერთმანეთის პირობებს ყურადღე... არ მიაქციეს და საკითხი მშვიდობიანი საშვალებით არ გადაწყვიტეს. ამასთანავე ყველა დიდი სახელმწიფოს სურვილია ამ საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით მოხდეს და მოსალოდნელი შეტაკება მათ თავიდან აიცდინოს.

...ვენა. კრეისერები „კაიზერინ კენიგინ", „მარიამ ტერეზია" და „კაიზერინ-...საბეტი" სმირნიდან გავიდნენ. უკანასკნელი სტამბოლს მიდის; პირველი ...სერი ეგეის კუნძულებზე ავსტრიის ...ქვეშევრდომების ინტერესებს დაიცავს.

**...ბუქარესტი.** სტამბოლიდან იუწყებიან: ...ელმა ბანკირებმა შინაგან სესხზე ... მოწერის საკითხის განხილვის ... გადაწყვიტეს—მიმართონ საზღვარგარეთელ ებრაელებს თხოვნით, რომ ...ით დახმარება აღმოუჩინონ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს და მთავრობას. ებრაელთა ახალგაზრდობამ გადაწყვიტა წესიერების დასაცავათ სამოქალაქო მილიცია მოაწყონ.

...მოხელენი სტამბოლში მყოფი ყველა ..., მივიდნენ ფინანსის მინისტრთან ... თვის ჯამაგირი მოსთხოვეს. მინისტრმა დელეგატების მიღებაზე უარი ...აცხადა. მოხელეებმა ხმაურობა ასტეხეს, ისინი ჯარისკაცებმა გაფანტეს. ბევრი მოხელე დაუტუსაღებიათ. ოსმალეთის მოხელეები მოლაპარაკებას მართავენ, რომ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ, თუ მთავრობა მათ ჯამაგირს არ ...რიგებს.

...სტამბოლიდან დეპეშაა:—კვირას უეცრათ აუკრძალეს გარეშე პირთ პორტაში მისვლა. ხმები დადიოდა—სახელმწიფო ცვლილება უნდა მოხდესო. კაბინეტის გამოცვლას ელიან.

### საზღვარგარეთი.

...ურგი. კოროსტოვცისა და მონგოლეთის მინისტრებისადმი ხელშეკრულებას ... მოაწერეს, რომლის ძალით ქვეითი ... ცხენოსანი ჯარის მოსაწყობათ მონღოლეთის სამსახურში რუსი აფიცრები ... ინსტრუქტორები უნდა მიიღონ.

...ვენა. როგორც ოფიციალურათ იუწყებიან—ავსტრია-უნგრეთის მინისტრთა თათბირს 3 და 4 თებერვალს პოლიტიკურ ...ნომიურ საკითხებზე ერთსულოვნება ეტყობოდა, რადგან ამოჩნდა, რომ მინისტრები ერთმანეთის თანახმა არიან.

**ცინცინატი.** „ინტერნაციონალ-კეშრეჯისტერ-კომპანიის" პრეზიდენტს პეტერსენს ერთი წლით დატუსაღება და 5,000 დოლარი ჯარიმა მიუსაჯეს შერმანის ანტი-ტრესტის კანონის დარღვევისათვის და კომპანიის ყოველ 28 მოსამსახურეს 9—12 თვემდი ციხე გადაუწყვიტეს.

**ბერლინი.** რეიხსტაგის ცენტრმა უკან წაიღო თავისი რეზოლუცია, რომლის ძალით მეზღვაურ ოფიცრებისთვის ჯამაგირის მომატებაზე უარს ამბობდა და რის გამოც ზღვათა მინისტრი სამსახურიდან გასვლას აპირობდა.

**ტოკიო.** კონსტიტუციონალისტები დაჟინებით მოითხოვენ პარტიული კაბინეტი შევადგინოთო; გამონაკლისს უნდა შეადგენდენ სამხედრო და საზღვაო მინისტრები.

**ტოკიო.** ოცი ათასი კაცის ბრბომ კაცურას მომხრე გაზეთების რედაქციები დაიკლო. სურდა აგრეთვე იმ დეპუტატთა სახლების განადგურებაც, ვინც კაცურას ემხრობოდენ. მოხდა პოლიციელებთან შეტაკება და 90 მოკვდა და დაიჭრა.

**პარიზი.** ელისეს სასახლეში ყველა მინისტრებითა და პალატის და სენატის პრეზიდენტებით გარშემოხვეულმა ფალიერმა პუანკარე მიიღო და სასახლე ჩააბარა. შემდეგ პუანკარე მაგისტრატურაში წავიდა. ქუჩაში ხალხი აფთოვანებით ეგებებოდა. მას გრძნობით მიესალმენ ფალიერი და ლუბე. ახალი პრეზიდენტი კმაყოფილებას აცხადებს ფალიერის და ლუბეს მიგებების გამო. ხოლო ხალხის მიერ გამოთქმულ სიყვარულს იგი მისდამი ქვეყნის ნდობას მიაწერს.

**პრაგა.** შესაზღვრე სადგურ ზიმლინზე ჩეხელი ხუთი აქიმი დატუსაღეს, რომელიც ბალკანეთში მიდიოდენ.

**პარიზი.** მუნიციპალიტეტმა — სამივე პრეზიდენტს ოქროს მენდლები ჩააბარა. შემდეგ პუანკარე ელისეს სასახლეში მივიდა, ფალიერი კი კერძო ბინაზე გადავიდა.

### რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი ჩამოვიდა.

გერმანიის საელჩოში რუსეთ-გერმანიის ლიტერატურული კომფერენციაში მონაწილეთ ნადიმი გაუმართეს.

გაზეთ „რუსკაია მოლვას" რედაქტორი 500 მან დააჯარიმეს წერილისათვის—„კიდევ გარყვნილება".

„რუსკოე ზნამია"-ს რედაქტორის წინააღმდეგ გაზეთში მოთავსებული წერილისთვის—„დონის ნაპირებიდან", 129 მუხლის ძალით საჩივარი აძრეს.

ოქტომბრისტების ფრაქციის თავჯდომარეთ ანტონოვი აირჩიეს და მის თანაშემწეთ გრაფი ბენიგსენი.

უმაღლესათ დამტკიცებული საზეიმო ცერემონიალი რომანოვების გვარეულობის 300 წ. იუბილეს დღესასწაულობისა გამოაქვეყნეს, რომლის თანახმად 21 თებერვალს იმპერიის ყველა ეკლესიაში გადაიხდიან წირვასა და სამადლობელ პარაკლისებს. ნაწირვეეს უმაღლეს მანიფესტს წაიკითხავენ, ყველა ქალაქისა და სოფლის ტაძრებში ლიტანია გაიმართება, გადაიხდიან პარაკლისებს და მთელი დღის განმავლობაში ზარების რეკა იქნება ყველა ჯარის პარადები იქნება და ციხეებიდან ზარბაზნების სროლა.

ყაზანის საკრებულო ტაძარში მწირველი იქნება პეტერბურგის მიტროპოლიტი. აქ საზამთრო სასახლიდან ხელმწიფე, მისი მეუღლე მემკვიდრე და ხელმწიფის ასულები მობრძანდებიან. შემდეგ მეფის გვარეულობა სასახლეში დაბრუნდება და იქ გაიმართება დეპუტაციის მიღება.

## „ქაკმენის სითხის" გამო.

**ჩემი უკანასკნელი პასუხი ბ-ნ ტიებოს.**

„იმერეთის" მე 24 ნუმერში ბ-ნი ტიებოს წერილია დასტამბული. წერილი „გარეშე ცნობათ" არის დაბეჭდილი და გაზეთის ის კუნჭული უჭირავს, სადაც ფასიან განცხადებას ბეჭდავენ ხოლმე. ცხადია, წერილი რომ გაზეთის მკითხველთათვის საყურადღებო და სასარგებლო ყოფილიყო, რედაქცია ავტორს მადლობას ეტყოდა, დაბეჭდის ფასს, ესე იგი პირიქით გონორარს არ გამოართმევდა, არც გაზეთის კუნჭულში მოათავსებდა, არამედ წერილებ შორის მისცემდა ადგილს. შეიძლება, სხვა დროსა და სხვა პირობებში ამ გარეშე ცნობისთვის არც ჩვენ მივაქცია ყურადღება, მაგრამ, რადგან გვჯერა, რომ ზოგიერთი მკითხველი გარეშე ცნობასა და ნამდვილ საგაზეთო წერილებს შორის დიდ განსხვავებას ვერ დაინახავს და ბეჭდვითი სიტყვა მაინც ხალასი რამ ეგონება ამისათვის იძულებული ვარ, ბ-ნი ტიებოს საპასუხოთ ერთხელ კიდევ ამოვიღო ხმა.

ბ-ნი ტიებო სწერს: „ნახევარი წელი მეტია, რაც ბ-ნი ჩივაძე სწერს „სახალხო" და „სასოფლო გაზეთებში" ტენდეციურ წერილებს... მისი წერილები იბეჭდება იმ განზრახვით, რომ ხელი შეუშალოს „ქაკმენის სითხის" გაყიდვას... ისვრის ერთ ამ ბრიყვულ სიტყვებს, რომელიც სამსაჯულოს გასარჩევ საგანს შეადგენს... გაზეთები ჩემს საპასუხო წერილისდაბეჭვდაზე უარს მეუბნებიან, ამიტომ რომ საქმე კონკურენციას შეეხება და მათ შეუძლიათ დაარწმუნონ და გადაიბირონ გაზეთის გამომცემლები, რომ მათ ქაკმენის სითხის შესახებ ბეჭდონ მხოლოდ ცრუ ყალბი ცნობები. „ქაკმენის სითხის" შესახებ, ჩემი პასუხები და ტეხნიკური განმარტებანი მევენახეობისა და ხალხის სასარგებლოთ დაწერილი, რომელიც არავითარი ყურადღების ღირსი არ არისო".

ჯერ ეს ამონაწერი ვიკმაროთ და მის შესახებ ვიბაასოთ. მართალია ბ-ნი ტიებო სამსაჯულოთი გვემუქრება, მაგრამ ჩვენ პირიქით მაგის მონატრული ვართ, რადგან იმედი მაქვს იქ (სამსჯავროში) სიმართლე გამოირკვევა და ეს ბ-ნ ტიებოს მევენახეთა და ხალხის მეგობრობას ნათელს მოფენს და ყველას დაანახვებს, რაც მეგობარია ეს სამართლისთვის წამებული. ბ-ნი ტიებო ბრძანებს, თითქო ნახევარ წელზე მეტი იყოს, რაც მე მას წინააღმდეგ ვბეჭდავ „სახალხო" და „სასოფლო გაზეთში," რომელნიც მე მოვიყიდე ამისათვის, ჩემს „ბრიყვულ" წერილებს კი ბეჭდავენ და მის „ხალხის სასარგებლო" წერილებს კი არა.

„სასოფლო გაზეთი" ჯერ სამი თვეც არ არის სრული, რაც გამოდის ეს ერთი ტყუილი „ხალხის მეგობრის" მიერ ნათქვამი. მეორე დიდი ბრალდება მეც მეხება როგორც ქრთამის გამღებს, მაგრამ აქ ჩემზე მეტად ბ-ნი ტიებო ამ ორ გაზეთების რედაქციებს სდებს საშიშარ ბრალს. რედაქციებს ჩემი აპეკუნობა არ ესაჭიროება. მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ამის დამწერს ზრდილობა, მართებულება კეთილსინდისიერების ნასახზე მწყრალათ უნდა იყოს. ასეთი საშიშარი ბრალი რომ გაზეთებს დასდო, ამისი დიდი და შეურყეველი საბუთები ხელთ უნდა გქონდეს. არ მგონია რომ ვინმემ ირწმუნოს თითქოს მე შემძლებოდეს გაზეთების გადაბირება, არა მგონია, ვინმემ დაიჯეროს რომ ამ გაზეთების გამომცემლებს ხალხი ბ-ნ ტიებოზე ნაკლებ უყვარდეს. ალბათ ასეთ ოინებს თვით ბ-ნი ტიებოა დაჩვეული... კარგი „სახალხო" და „სასოფლო გაზეთები" გადვიპირე მაგრამ „იმერეთიც" ხომ არ გადამიბირებია რ-მ ტიებოს წერილს გარეშე ცნობათ ბეჭდავს და ამაში „ხალხის მეგობარს" ხალხისავე სასარგებლო ცნობის გავრცელებაში ისევე ახდევინებს ფულს როგორც „სტარი ოლიოფის" განცხადების პატრონს. სჩანს ამ უმანკო გვრიტს „იმერეთი" ვერ შერიგებია და მის წერილში ხალხის სიყვარული არ დაუნახავს.

ნება მიბოძეთ „ხალხის მეგობარო" მოგახსენოთ შემდეგი: თქვენ ბ-ნო ტიებო, კარგა ხანია რაც იმერეთს შემოეხიზნეთ. სანამ აქ მობრძანდებოდით ყირიმის მხრიდან ამბავი მოდიოდა რომ ვილაც ფრანგი აგრონომი ერთი დაწესებულებიდან არა ხალხის სიყვარულისთვის, არამედ ფულის სიყვარულის გულისათვის გააძევესო. იქნება თქვენ იცნობდეთ ამ თქვენს კომპატრიოტს, ჩვენ კი არ ვიცით, ვინ არის. მას ბევრი სხვა არა მართებული და ასახელო საქმეების ჩადენასაც სდებდენ ბრალათ, მაგრამ ეგ რა ჩვენი საქმეა... ჩვენ მხოლოდ თქვენზე გვსურს ვიბაასოთ. დიახ, თქვენ გაიჩინეთ მიწა ჩვენში თუ არა, დაიწყეთ მევენახეობა. კეთილი საქმეა, მაგრამ თქვენ მარტო ეს არ იკმარეთ და 1911 წელს [illegible] ბლოკით ქუთაისურ ვაჭარ ჯანელიძეს, დაარწმუნეთ ის, რომ საფრანგეთიდან გამოიწეროს ბორდოს სითხის მაგიერ ვენახის საწამლებელი, ახალი გამოგონება „ქაკმენის სითხე." თქვენ ამ სითხეს ადიდებდით, აქებდით, მისით ლამობდით მევენახეობის ახალი ხანის დაწყებას, ურჩევდით ყველას, რომ მხოლოდ ის ეხმარათ ვენახის საწამლებლათ და არა ბორდოს სითხე. ამასთან მიუთითებდით რომ ის შეეძინათ ჯანელიძის სავაჭრო სახლიდან. ასე ვთქვათ, თქვენ იკისრეთ „ქაკმენის სითხის" „ვოიაჟერობა" და ჯანელიძის სავაჭრო სახლის „მაკლერობა".

შეიძლება ბ-ნი ქაკმენი ახლაც დარწმუნებული იყოს, რომ მის მიერ გამოგონილი სითხე მევენახეობას დიდი სამსახურს გაუწევს. შეიძლება ეს ასეც მოხდეს, მაგრამ თქვენ როგორც „ხალხის მეგობარს" მასთან განსწავლული აგრონომს, პირველათ ეს სითხე გეცადათ, მოგეხდინათ მისი სხვადასხვა ნაირი ცთა და როცა ყოველ მხრით ასწონ დასწონიდით, ხალხისთვის მხოლოდ მერე გერჩიათ. თქვენ ახლაც გვიკიჟინებთ უცხოელ და რუსების პროფესორების აზრს ამ სითხის შესახებ, მაგრამ უცხოელი კაბინეტის ხალხის აზრს ბევრათ მირჩევნია ჩვენებური ხელებ დაკორძებული მევენახის აზრი. ისინი კი ვინც აყვა თქვენს რეკლამას, მოგენდო და ვენახი „ქაკმენის სითხით" მოწამლა, ყველა წყევლა-კრულვას გითვლისთ, ზარალის ანაზღაურებას გედავებიან. თუ ეს არ გჯერათ, ნახეთ ოკრიბელი მევანახეების საჩივარი, რომელიც ქუთაის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტში დევს... კითხეთ ყველა იმ აგრონომ-ინსტრუქტორებს, რომელნიც ქუთაისის გუბერნიაში მუშაობენ და რომელთაც ნახეს „ქაკმენის სითხით" გადამხმარი ვენახები... მოისმინე ამ მევენახეთა გოდება და ეს სითხე მხოლოდ მერე აქეთ.

ჩემი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ მევანახენი თავის დროზე გავაფთხილე ამ „მეცნიერების ახალ გამოგონებას" სიფრთხილით მოკიდებოდენ, მარტო მას არ დანდობოდენ, ჯერ ეცადათ და როცა მის ხმარებას შეისწავლიდენ, როცა მის უებრობაში დარწმუნდებოდენ, მხოლოდ მერე ეხმარათ. ასეთმა შენიშვნამ თქვენ გაგაწიწმატათ, ჩემს წინააღმდეგ აგამხედრათ, „ქაკმენის სითხეს" უფრო თავგამოდებით იცავდით მაგრამ 1912 წლის გამოცთილებამ, ვინც კი თქვენს რეკლამას დაენდო, ვენახები დააზარალა, არამც თუ ერთი წლის ყურძნის მოსავალი დაკარგა მევანახემ, არამედ ვაზიც დაუხიანდა. ეს ჩვენი თვალით ვნახეთ და რაც არ გვინახავს სხვებმა შემოგვჩივლეს. თქვენ კი ბძანებთ, რომ თქვენს ვენახსა და ბ-ნი ნაზაროვის ვენახს უწამლეთ

---

...შვილნი, რომელთაც დღევანდელ ქართველების უმთავრესი დამჩაგვრელი და დამბეჩავებელი მიზეზი ჯერ კი... ვერ შეუგნიათ—და, რაც კიდევ ...სია, არ უნდათ შეიგნონ?!

...ო დრო, როდესაც ქართველი „და...ები" საქართველოს სახელის ხსენე... ერიდებოდენ და სდევნიდენ ...ლოს, ვინაც საქართველოს და ქართველი ერის უფლებებზე ხმას ამო...დენ. დღეს თითქო ფერი იცვალეს ... სხვათა შორის, ეროვნულ საკითხებ... ეარშიყებიან... დიახ, სწორეთ ეარში...ან—ისე, როგორც უგულწრფელო „...ველასი" ეარშიყება ხოლმე გულუ...ვილო „კეკლუცს" და სწადია—მა... გაბას.

...უნდა გამოვტყდეთ, „დასელთა" ლოველასური არშიყობის გამწვევე... ცოდვა ფედერალისტებს მიუძღვისთ: ...ამ მედგარი იერიში მიიტანეს მათ ...ეროვნული საკითხების უარყოფის ...ზე, ერთობ ნათლათ დაანახეს ქართ... ხალხს დასელთა უგუნური საქციე... ქართველი ხალხის ეროვნული თვითგ...ცების საქმეში.—დასელებმა იგრძ...—ცუდათ არის საქმე, „ხალხი" ხე...დან ვეცლება, ფედერალისტების მხა... იჭერსო—და იწყეს თვალთმაქცუ... არშიყობა...

...პირველათ „საარშიყო გამოსვლა" ახა... (მეოთხე) სათათბიროს არჩევნების წინა დღეებში მოხდა: ეს იყო ბ. „ნ"-ს ფელეტონები ქუთაისურ ს.-დ. გაზეთში. ბ. „ნ" ამტკიცებდა, რომ ჩვენ, დასელები, მოძრაობის პირველ ხანებში თუ ქართულ ენასა, შკოლასა, სასამართლოსა და სხ. არ ვახსენებდით, ამას მაშინდელი დროის „ტაკტიკა" მოითხოვდა, ხოლო ყველა ამას ჩვენ დიახაც უიდათ ვაფასებთ და მედგრათაც ვიბრძვით იმათთვისო!..

მაგრამ რის „ტაკტიკა". რა „ტაკტიკა"! ვინ არ იცის, რომ „დასელებს" ქართველთა ეროვნული არსებობის უფლება „ჭკუაში" არ მოსდით, და თუ დღეს „ეროვნულ საკითხებზე" ხმაურობენ, ეს მხოლოდ ფედერალისტებისადმი ჯიბრისა და მეტოქობის შედეგია: მიჯნურს გაგულგრილება შეამჩნიეს—და არშიყობას მოუმატეს, „ძღვენსა სძღვნიან ზედიზედა"..

მაგრამ ძღვენიც არის და ძღვენიც! ძველთაგან ნათქვამია: „Timeo Danaos et dona ferentes",—რაიცა ნიშნავს: გეშინოდესთ დანაელთა და მათი მეძღვნეობისაო!

წრფელი გულით მიძღვნილი—მცირედი ნივთიც მეტათ დასაფასებელია, მეტათ ძვირფასი; ხოლო უგულწრფელო ადამიანის საჩუქარი—თეთრი კბილით, მაგრამ შავი გულით მოძღვნილი—დიდი რამეც რომ იყოს, შეგნებულ გონებასა და განვითარებულ სულს ვერ გაახარებს, ვერ ...ატკბობს...

ასეთია დასელთა ძღვენიც, რომელსაც ისინი დღეს თვისი „დეპუტატების" პირით ქართველ ხალხს „უფეშქაშებენ". ჩხენკელი ჩხიკინობს, ჩხეიძე ჩხავის—და შეკითხვა შეკითხვაზე შეაქვთ ქართული ენის დაჩაგვრის შესახებ საქართველოს შკოლებში!.. და რამ გააცხარა ნეტავი ეს დღემდი მხოლოდ „კარტველი" დეპუტატები და რამ აფიქრებიათ დღეს ქართული ენის უფლების დაცვა, როცა გუშინ იმავე ენის შესახებ ხმასაც არავის აღებინებდენ?! ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ იმის შიშმა, ვაი თუ „ხალხში" გავლენა დავკარგოთ და ფედერალისტებმა ყველა ჩვენი პოზიციიდან გადაგვრეკონო!.. ამიტომაც არის, რომ ბბ. ჩხენკელი და ჩხეიძე ბ. გელოვანს ახლოსაც არ იკარებენ და ყოველნაირათ ცდილობენ, რომ მისმა ხმამ ხალხის ყურამდი არ მიაწიოს; ამიტომაც არის, რომ შკოლების შესახებ შეკ-თხვაში ბ. გელოვანს გვერდი აუხვიეს და შეკითხვაზე ხელის მოსაწერათ სათანადო ადგილი არ დაუთმეს!..

აბა სად არის ამ მართლაც და „კარტველი" დეპუტატების, ბ. ბ. ჩხეიძისა და ჩხენკელის და ძმათა მისთა, გულწრფელობა „ქართველი ხალხის უფლებათა" დაცვისა, როცა ისინი ნამდვილი ეროვნული პროგრამის ალმსარებელ დეპუტატს ინტრიგებს უკეთებენ და არ უნდათ მასთან ერთად იმოქმედონ ქართველი ერის საკეთილდღეოთ, თუ მართლა მათ ეს კეთილდღეობა გულით სწადიათ?!

და განა შკოლის პროგრამის დაცვისთვის კიდევაც რომ გულწრფელათ იბრძოლო (კიდევ კარგი იქნებოდა, რომ აქ მაინც ყოფილიყო გულწრფელობა!), განა ეს ქართველი ერის უფლებათა დაცვისათვის საკმარისია?! განა იმ დეპუტატს, რომელიც კულტურული ერის თვითარსებობის უფლებას იცავს, თუ ის მართლა გულწრფელი მებრძოლია, შეუძლია „ავტონომიაზე" ხმა არ ამოიღოს და ამ ერის ავტონომიური მართვა-გამგეობისათვის თავდადებულათ არ იბრძოლოს? და რას ნიშნავს „შკოლის პროგრამის" დაცვა უავტონომიოთ? ეს იგივეა, რომ ხეს ძირები მოაცილო ან სულ ამოსთხარო—და შტოებს წყალი ასხურო და იფიქრო—ნედლათ შეინახებაო! ეს იგივეა, რომ წყაროს სათავე აამღვრიო და მის ნაკადს წმენდა დაუწყო!

დიახ! ქართველი ერის უფლებათა გულწრფელ დამცველს არ შეუძლია მისი ავტონომიური უფლება არ დაიცვას იქ, საცა სახელმწიფოს ძირითადი კანონები მუშავდება და სწყდება, და თუ დასელი დეპუტატები ამას არ იცვენ, იმიტომ არ იცვენ, რომ ცენტრალური პარტიის ყურმოჭრილი მონები არიან—და, მაშასადამე, უგულწრფელონი. იყო დრო, როცა „ცენტრი" ენასა და შკოლაზედაც კრინტსაც არ აძვრევინებდა—და ესენიც სდუმდენ; ახლა ნება მისცეს: შკოლაზე ილაპარაკეთ, ხოლო ავტონომიაზე კრინტიც არ დასძრათო, და ესენიც შკოლებზე აჩხავლდენ, და ავტონომიაზე კი სდუმან!—მალე ვგონებ ასრულდება ჩვენი წინასწარმეტყველება ავტონომიის შესახებაც: „იცოცხლეთ, მკითხველო, და მალე დაინახავთ, რომ სოციალდემოკრატები საქართველოს ავტონომიის საფუძვლიანობას აღიარებენ,—იმ ავტონომიისა, რომელიც მათ დღეს ასე საშინლათ ეჯავრებათ,—და მერე ტურებივით აკივლდებიან: „ვინ დაგვწამა ცილი? ჩვენ ყოველთვის საქართველოს ავტონომიის მომხრე ვიყავითო"!.. („მკვლელები და მცველენი", გვ. 17).

პირდაპირ ვიტყვით: დასელთა გულწრფელობა ეროვნული საკითხების დაცვაში დასაჯერებელი არ არის, რადგან ისინი ამას კი არ ამბობენ, რაც გულში აქვთ, არამედ იმას, რასაც უბძანებენ... ჩვენ ვიცით, რომ ბევრი დასელი გულში ეროვნულ საკითხებსა და ავტონომიას აღიარებს, მაგრამ აშკარათ ეს ვერ გამოუთქვამს, რადგან პარტიისაგან მიღებული არ არის! და ამისთანა ადამიანები ქართველ ხალხს არწმუნებენ, თქვენს „უფლებებს გულწრფელათ და მედგრათ ვიცავთო"!

განა ამგვარ საქციელს მატყუარობა არ ეწოდება? განა ამგვარი პირები „მტრები" არ არიან ქართველი ხალხის ეროვნული თვითარსებობისა?! მაშ კრავების ქურქს რათ იხურვენ და „მოყვრის" სახით რათ მიდიან ქართველ ხალხთან? მხოლოდ „პოზიციის" შესანარჩუნებლათ—განა?!

სილოვანი.

ქუთაისი, 3 თებერვალი.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

# ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლეული. საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ... ვარშავიდან და ... აგრეთვე ... ემალ გამოვლებული, ... თითბერის, ალპაკა და ვერცხლის ქვაბები, ყავადნები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი, ვერცხლარევი და ბრინჯაოს ნაკეთობა, საქსოვი მოხრილი სუფრის ყოველგვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ... ლევარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოწყობილი, ორთქლით ძრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილება, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდე. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ... თაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტად დაკლებული.

სავაჭრო სახლი გოკიელოვი შვ-ბი ქუთაისში

# ხ. ხრისტადულიდის

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ-კავკასიაში ჩვენში კარგათ ცნობილი სახელის განთქმული აბრეშუმის თესლის (რომელსაც ჩვენში წინათ წერეთლის თესლს ეძახდენ). ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს თესლით მოვაჭრეებს, რომ პარტიობით თესლის დამკვეთ (ზაკაზის მომცემთ) ნაღდ ფულზე არა ნაკლებ ერთი ყუთისა ანუ 200 ექვს მისხლიან კოლოფისა თესლი მიეცემათ: 1 მარტამდის—1 მ. 14 შ., 15 მარტამდი—1 მ. 4 აბაზა, 1 აპრილამდი—1 18 შ. ხრისტადულიდის თესლის ღირსებამ გასულ წელს ზოგიერთ ვაჟბატონებს მადა გაუღვიძა და მდარე ღირსების თესლის ყუთებზე (იხ. გაზეთები ,,ზაკავკ. რ.'', ,,სახ. გაზ.'', ,,ბათ. სიმართლე'' და სხვ.) ხრისტადულიდის ფირმის ყალბი ეთიკეტების კეთებას შეეცადენ. შესაძლოა ზემო-ღნიშნული ბოროტება წელსაც განმეორდეს. თესლის შეძენის დროს სიყალბის ასაცდენათ დიდი ყურადღება მიაქციეთ ჩვენი ფირმის „იარლიკს" და ,,შტემპელს'', აგრეთვე შეეცადეთ თესლი სიიმედო პირთაგან შეიძინოთ.

მითი და კარგი შედეგი მივიღეთ. მოგახსენებენ თქვენ ვენახი დიდ სახარბიელოს არაფერს წარმოადგენსო, მაგრამ, თუ გინდ ავთვალს არ ენახებოდეს, ისეთი იყოს, მერე ვინ არის იმის დამაჯერებელი რომ თქვენ ნამდვილ „ქაკმენის სითხით" წამლობდით ვენახს და არა ბორლოს სითხით. შეიძლება თქვენთან, არც ამაზე აგიხირდებით, ქაკმენმა მართლა იმოქმედა, მაგრამ თქვენ ხომ სწავლული აგრონომი ბძანდებით, და როგორც ასეთს შეგეძლოთ ეს სითხე მოგეხმარათ, მაგრამ უბრალო მევენახეთათვის მისი ხმარება შეუძლებელი გახდა, თვით გამომგონი ამბობს, თუ მის ხმარებას რამდენი პირობების წესიერათ დაცვა სჭირია. ყველა ეს კი მევენახეებმა ვერ შესძლეს და ამისთვის აკი ზარალიც ნახეს.

იმ თქვენს ფას გადახდილ წერილში გარდა ჩემი და გაზეთების გაბიაბრუებისა, არც ვაჭარ ჯანელიძესაც ზოგავთ. ერთი მწვე მათრახი მასაც კი უთავაზეთ. ამდენ ხანს თქვენ მას იფარავდით, მაგრამ რაკი ახლა მასთან სავაჭრო ხელშეკრულება დაგირღვევიათ, ბძანებთ, წარსულ წელს „ქაკმენის სითხემ" ნაყოფი შეიძლება იმისთვის არ მოიტანა, რომ შესაძლებელია ზოგიერთმა ვაჭარმა სითხეში წყალი გაურიაო, მაგრამ ამიერიდან ეს აღარ იქნება, რადგან მისი გაყიდვა გოკიელის შვილების პატიოსან ფირმას გადავეციო. ვინ იყო ნეტა ვაჭარი? ქუთაისის გუბერნიაში ამ სითხის ერთად ერთი გამყიდველი ჯანელიძე იყო და მაშასადამე ფალსიფიკაციაც მას ედება ბრალათ. გარდა ამისა, რა ვიცით, რომ შემდეგი მარცხიდან გოკიელის შვილების პატიოსანი ფირმა დაგვიხსნის. გოკიელის შვილების სავაჭრო სახლი ხომ წვრილ ვაჭრებსაც მიყიდიან, ამათი ნათლიაც ხომ თქვენ არ ბძანდებით, რომ პატიოსნება დაანათლოთ და მათ სიხარბეს თავი დაანებონ. აქედან ის დასკვნა უნდა გამოიყვანოთ, რომ, რაკი ,,ქაკმენის სითხე'' ჯერჯერობით სადავიდარაბოა. მის შემზადებასა და წამლობას დიდი გამოცდილება უნდა, რაკი მოსალოდნელია, რომ მასში ვაჭრებმა სიყალბე გაურიონ ამისთვის იხმარეთ ისევ ბორდოს სითხე, რომლის შინ შემზადება უკვე ყველამ იცის.

**გ. ჩივაძე.**

## ოდიში.

**სოფ. ზანათი.** 10 იანვარს აქ მოხდა მომხმარებელი საზოგადოება „სიცოცხლის წყაროს" წევრთა საზოგადო კრება. საზოგადოებაში 130 წევრია. კრებაზე 50 წევრზე მეტი გამოცხადდა, რაც კრების მოსახდენათ კანონიერათ ჩაითვალა. განსახილველათ გამგეობამ წარმოადგინა: აბაშის მომხმარებელ საზოგადოებასთან შეერთება და მათი სახელით გახსნა ზანათის განყოფილებისა. კრებაზე მოწვეული იყო აბაშის მომხ. საზ. „ანგარიშის" მდივანი ბ. ლეჟავა.

გამგეობამ მოუწოდა კრებას შეერთებოდენ აბაშის მომხმარებელ საზოგადოებას, სადაც ანგარიშები კარგათაა დაყენებული და ამ სახით იქნეს გახსნილი განყოფილება; ბ. ლეჟავამ გაუმარტა კრებას რა სასარგებლოც იქნება მთელი რაიონის მომხმარებლების შეერთება და საერთო ძლიერი სავაჭროს შექმნა ქ. აბაშაში. ბ. ლეჟავამ, სხვათა შორის, ნისიათბა აღიარა არა სასურველ მოვლენათ და მოუწოდა ყველას, მოერიდონ მას. ამან გამოიწვია კამათი; გამოითქვა აზრი, რომ უნისიოთ ჯერ არ შეგვიძლია ცხოვრებაო. სხვათა შორის ითქვა, რომ თუ ვისმეს სურს ინისიოს საზოგადოებაში ან შეიძინოს საზოგადოების რამდენიმე პაი, ანა და შეიტანოს ფული წინდაწინ ავანსათ და შემდეგ იხარჯოსო და სხ.

კრებამ ერთხმად დაადგინა, შეუერთდენ აბაშის მომხ. საზოგადოებას; არჩეულ იქნეს კომისია სამი კაცისაგან, რომელთაც საზოგადოების ყოველი თანხა უნდა ჩააბაროს აბაშის საზოგადოებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აქამდი ბევრი ამ საზოგადოების წევრი წინაამდეგი იყო, რომ თავისი სახელი სხვისთვის დაეთმო, მაგრამ ცხოვრებამ მათ აჩვენა, რომ ასეთს პატარა საზოგადოებას ცალკე არ ძალუძს გაუძლვეს ისეთ საქმეს და დაინახეს საჭიროთ შეერთება და საერთო ძალით გაძლოლა სიმპატიური დაწესებულებისა.

**დამწრე.**

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

**ТАИНСТВЕННАЯ СИЛА ВНУШЕНІЯ!!!** Заставьте окружающихъ подчиниться Вашей волѣ. Самоучитель гипнотизма по Флауэру и Тарханову. Цѣна 2 р. 50 коп.

**ГИПНОТИЗМЪ и ВНУШЕНІЕ.** (Лѣченіе болѣзней). Соч. проф. Грассэ. Перев. Д-ра С. Ершова. Цѣна 2 р. 50 коп.

Предлагаемая кн. проф. Грассэ. знаменитаго невропотолога Франціи, содержит строго научное и вполнѣ обоснованное изложеніе возрѣній на гипнотизмъ, практическую оцѣнку фактовъ и явленій изъ этой области и собственныхъ его выводовъ и заключеній.

**ОККУЛЬТИЗМЪ.** Руководство къ воспитанію оккультныхъ силъ человека. Цѣна 1 р.

# ЯЗЫКИ:

французскій, нѣмецкій, англійскій лат. каждый безусловно имѣетъ возможность основательно изучить (правильный разговоръ, чтеніе и письмо), безъ помощи преподавателя въ 2—3 мѣсяца и даже скорѣе (зависитъ отъ усредія и способностей) по нашимъ новѣйшимъ методамъ и самоучителямъ. Успѣхъ гарантируемъ возвратомъ денегъ до 3-хъ мѣс. Тысячи лицъ разныхъ слоевъ общества прислали намъ благодарности и похвальные отзывы. Цѣна съ пересыл: одного самоучит. 1 руб. 27 коп. 2-хъ 2 р. 23 коп. 3-хъ 3 руб. 16 коп. 4-хъ 4 руб. 5 коп.

**ПОЛНЫЙ СЛОВАРЬ ИНОСТРАННЫХЪ СЛОВЪ,** вошедшихъ въ составъ рускаго языка. Громадный томъ большого формата. Нѣсколько сотъ тысячъ словъ. 3 руб. 50 коп. По отзывамъ газ. „Новое Время" „Свѣтъ", книга эта представляетъ цѣнный вкладъ въ лексическую литературу и должна быть настольною книгою каждаго грамотнаго человѣка; сравнительно же съ объемомъ этого прекраснаго изданія, цѣна его может назраться дешевою.

**ЛѢЧЕБНИКЪ-АПТЕЧКА. ДОМАШНІЙ ДРУГЪ.** Лѣченіе разныхъ болѣзней безъ помощи врача. Гигіена. Алфавитное поименованіе важн. общедост. лѣкарствъ, средствъ способы хъ приготовленія и употребленія. Настольная книга семьи Ц. 1 р. 75 к.

**ГИГІЕНЫ КРАСОТЫ.** Искуство быть красивымъ, полезные совѣты и наставленія къ уходу за красотою и здоровьемъ человѣческаго тѣла. Цѣна 1 р. 50 к.

Что такое красота. Уборн свѣтск. женщ. О ваннахъ. Массажъ и растираніе. Купанія. Гидротерапія и приборы. Умываніе лица. Цвѣтъ лица. Морщины. Уходъ за тѣломъ. Гигіена лица. Лишаи. Косметическія средства, духи и пр. Платье, обувь и туалеты вообще. Нѣскольк совѣтовъ исключительно для дамъ.

**ПОВАРЕННАЯ КНИГА. СПУТНИКЪ ХОЗЯЙКИ.** Руководство къ уменьшенію расходовъ въ домашнемъ хозяйствѣ. Болѣе 3000 описаній разныхъ блюдъ скоромн. и постнаго стола. Громадный томъ большого формата. Цѣна 3 руб.

**ПУТЬ КЪ СЧАСТЬЮ. КАКЪ НАДО ЖИТЬ.** Соч. Д-ра философіи Ф. Кирхера. Ц. 1 р. 75 к. Популярный професоръ старается указать намъ какъ можемъ мы примириться съ жизнью и гдѣ и въ чемъ можемъ искать утѣшеній и наслажденій, которыя даетъ намъ природа, искуство, чтеніе, дружба, домашній очагъ, рэлигія, трудъ и отдыхъ, рисуя свѣтлую будущность человѣка. Все сочиненіе проникнуто ободряющимъ духомъ. Трезвые взгляды проводятся имъ въ такой легкой популярной формѣ, что книга эта является необходимостью каждаго читателя и будетъ прочтена имъ съ громадною для себя пользою.

**ЭЛЕКТРИЧЕСТВО ВЕЗДѢ и КЪ УСЛУГАМЪ ВСѢХЪ и КАЖДАГО.** Общедоступныя основныя объ электричествѣ, элементахъ и пр. Изготовленіе аккумуляторовъ, элементовъ, сух. батареекъ, какъ устроить электрическое освѣщеніе при помощи элементовъ. установка телефоновъ, электрическихъ звонковъ. Подробн. расчеты, чертежи и пр. Маленькія динамо-машины, электродвигатели. Гальванопластика: золоченіе, серебряніе. Устройство телефона домашними средствами. Ц. 2 р. 50 к.

**ПОЛНЫЙ РУССКІЙ ПИСЬМОВНИКЪ.** Настольная книга для всѣхъ. Образцы и формы прошеній, заявленій и отзывовъ, объявленій въ Окр. Судъ. Мир. Учр. и пр. Духовн. завѣщанія купчія крѣпости, дарств. записи, договоры, обязательства, контракты, условія, довѣрен., аттестаты, векс. заемныя письма, росп., торгово-коммерч. переписка и циркуляры. Сборникъ образцовъ всѣхъ родовъ дѣловой и коммерческой переписки, писемъ и проч. Цена 2 р. 50 к.

Заказы выполняются по полученіи стоимости, или же съ наложеннымъ платежомъ

Книгоизд. и книжн. складъ И. И. Ванковичъ.

СПБ. ИТАЛЬЯНСКАЯ УЛ. № 15-120

1912 წ. ათი დეკემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

# „მერცხალი"

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით 2 მ. და 10 შ., თვიურათ ქუთაისში—4 აბაზათ, ქუთაისს გარეთ 18 შ., ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაურია საზღვარგარეთ—14 მან. განცხადება. პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 3 შ., უკანასკნელზე—2 შ.. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი—პ. ბაბუნაშვილი.

ფულის გამოსაგზავნი მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქ. რაჟდენ დიმიტრის ძე მიქაძეს.

რედაქციის მისამართი: პუშკინის ქ. სახლი ჭიშვილისა, № 12.

# გ. მორდამის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.



# ნ. ს. ტერპი.

ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა.

სპეციალისტური სავაჭრო

ნავთის—კალინო ლამპები და ფარნები, 75% იაფი ელექტრონულზე, იოლათ და ადვილათ მოსავლელი.

ნავთისავე მრავალი ფეჩები, სამზარეულო, სათფური და პრიმუსები.

ფასები ძლიერ დაწეულია.

მოითხოვეთ პრეისკურანტები

ქუთაისში ასეთი ფარნები არის 160.

მეტერსი.





ფეჩი.

3 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ჩვენი დროება".

ხელისმოწერის პირობები თფილისში და თფილის გარეთ: წლიურათ—5 მ., ნახევარი წლ.—3 მ., ერთი თვით—3 აბ., საზღვარგარეთ ერთი ორათ მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—3 შ., მეოთხეზე—2 შ.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ი. ანდრონიკაშვილი, არჩ. ახნაზაროვი, გ. ამირაჯიბი, კ. ანდრონიკაშვილი, ი. გომართელი, პ. გოთუა, ფ. გოგიჩაიშვილი, ზ. გულისაშვილი, გ. გვაზავა, ვ. გუნია, დ. დუმბაძე, დავით ეპისკოპოზი, ევდოშვილი, ი. ვართაგავა, ეგ. იოსელიანი, დ. კასრაძე, ს. მგალობლიშვილი, კ. მესხი, ანტ. ნატროშვილი, იასე რაჭველი, მ. ჯანაშვილი, გრ. ყიფშიძე, კ. თუმანიშვილი, ვალ. შალიკაშვილი და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редакц. газ. „Закавказская Рѣчь". Телефонъ №—12—48. Для телеграммъ: Тифлисъ „Дроеба".

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.

გამომცემელნი: ერ. დ. გორდელაძე, მ. გაჩეჩილაძე.

მიიღება ხელის-მოწერა
ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურსა და სალიტერატურო ჟურნალზე

# „კლდე"-ზე.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილიუსტრაციები, კარიკატურები და სხ., მოწვეულ არიან ახალი თანამშრომლნი როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც: 3 მან. და 2 მან. 1 წ. 5 მ., 6 თ. 2 მ. 15 შ., 3 თ. მ.

საზღვარ გარეთ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ: 1 წ. 4 მ., 6 თ. 2 მ. 10 შ., 3 თ. 1 მ., 1 თ. 2 აბაზი, ცალკე № ორ შაურათ.

**განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით.**

მისამართი: თფილისი Габаевскій пер. № 3.

ელექტრო-საბეჭდავი წერაძისა და ქარცივაძის, ქუთაისში.